გორის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით გორის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 01 მარტის №20.202206088 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N2

ქ. გორი 31 აგვისტო 2022 წ.

2022 წლის 31 აგვისტო გორის მუნიციპალიტეტის მერიაში გაიმართა გორის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომა.

სხდომას ესწებოდნენ:

1. ვლადიმერ ხინჩეგაშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერი - თავმჯდომარე
2. ნიკა ღვინიაშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერის მერის პირველი მოადგილე - თანათავმჯდომარე
3. თამაზ შიოშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - თანათავმჯდომარე
4. დალი ტლაშაძე, საფინანსო- გორის მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
5. ალექსანდრე თარხნიშვილი - ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
6. კობა მარიამიძე - გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე
7. ლელა მაისურაძე - გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი
8. დავით ჩიხრაძე - გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
9. მარლენ ნადირაძე - გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე
10. ღუტო თოდაძე - ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მერის წარმომადგენლების და წარმომადგენლების ასისტენტების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
11. ასმათ ტალახაძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი:

1. სამუშაო ჯგუფისათვის გორის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის პროექტის წარდგენა.
2. გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლების განხილვა. მათ შორის: ა) შემოსულობები და ბ) გადასახდელები პრიორიტეტების მიხედვით.
3. სამსახურების მიერ წარმოდგენილი პროგრამების პროექტების განხილვა.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა დალი ტლაშაძემ ჯგუფის წევრებს გააცნო გორის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის პროექტი, გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლები, გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების მიერ წარმოდგენილი პროგრამების და ქვეპროგრამების პროექტები.

აზრი გამოთქვეს:

ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა, ნიკა ღვინიაშვილმა, თამაზ შიოშვილმა, ასმათ ტალახაძემ. მათი აზრით საჭიროა სამსახურების მიერ წარმოდგენილი პროგრამებისა და ქვეპროგრამების პროექტებში შევიდეს ცვლილებები, გახდეს მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული და ხელმისაწვდომი.

აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმა სამუშაო ჯგუფის ყველა დამსწრე წევრი და აღნიშნეს, რომ ამ კუთხით მუშაობა გაგრძელდება.

ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა აზრი გამოთქვა - სპორტული მოედნებისა და სტადიონების რეაბილიტაციისთვის 2023 წლის ბიუჯეტში თანხის გათვალისწინების შესახებ.

ნიკა ღვინიაშვილმა აზრი გამოთქვა: 1) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსების პროგრამის ცვლილების შესახებ, ზოგიერთი სამუშაოს სრული დაფინანსების კუთხით; 2) რეაბილიტირებულ „ახალბაღში" საახალწლო სოფლის მოსაწყობად საახალწლო ქალაქგაფორმების რესურსის გაზრდის თაობაზე.

თამაზ შიოშვილმა აზრი გამოთქვა გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების კაპიტალური ან/და დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფისთვის გათვალისწინებული რესურსის გაზრდის და მოქმედი საბავშვო ბაღების შენობების ნაწილობრივი რეაბილიტაციის თაობაზე.

ასმათ ტალახაძემ აზრი გამოთქვა ახრისის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის აუცილებლობასთან დაკავშირებით.

სამუშაო ჯგუფის სხდომაზე დამსწრე წევრები ერთხმად შეთანხმდნენ, რომ ამ ეტაპზე მოწონებული იქნეს გორის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის წარმოდგენილი პროექტი და გაგრძელდეს მუშაობა სხდომაზე გამოთქმული საკითხების ბიუჯეტში შესაძლო გათვალისწინების მიზნით.

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი _____

ნიკა ღვინიაშვილი _____

ალექსანდრე თარხნიშვილი _____

თამაზ შიოშვილი	
დალი ტლაშაძე	
კობა მარიამიძე	
ასმათ თალახაძე	
ლელა მაისურაძე	
დავით ჩიხრაძე	
მარლენ ნადირაძე	
ღუტო თოდაძე	